სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომა
№ 2

14 თებერვალი 2022, 14:00 საათი, თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ანანიაშვილი ნათელა
5. გაგნიძე ნონა
6. ზაუტაშვილი მარინე
7. იმნაძე პაატა
8. კვინიკაძე მურმან
9. კოპალეიშვილი მაია
10. კუხიანიძე ალექსანდრე
11. ლობჟანიძე გია
12. მაღრაძე ვახტანგ
13. მინდაძე ნინო
14. სანაძე რუსუდან
15. სილაგაძე ავთანდილ
16. ფერაძე გოჩა
17. ღვედაშვილი გიორგი
18. ღონღაძე ალექსანდრე
19. შალიკაშვილი მორის
20. შანიძე რევაზ
21. შენგელია თემურ
22. ჩიტაშვილი მარინე
23. ცისკარიძე ალექსანდრე
24. წერეთელი მარი
25. წერეთელი მზია
26. ხარაიშვილი ეთერ
27. ხარშილაძე ირმა

28. ხაჩიძე მანანა
29. ხუსკივაძე მამუკა
30. ხუციშვილი ქეთევან

სხდომის მდივანი: მზექალა აჭაიძე,
რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლაშა საღინაძე (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), ნინო ოკრიბელაშვილი (თსუ-ს რექტორის მოადგილე), ირმა გრძელიძე (თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ნინო ჩიხლაძე (თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), მანანა მელიქიშვილი (თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ლევან საბაური (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), გიორგი მახარობლიშვილი (თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), არჩილ კუკულავა (თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი), ნანა ჯაფარიძე (თსუ-ს რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მთავარი სპეციალისტი).

კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება დისტანციურად, ელექტრონული საშუალების - zoom-ის გამოყენებით. თსუ აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ აკადემიური საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტის მისამართებზე დაეგზავნათ დისტანციური სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დაწყებამდე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ გ. შარვაშიძემ წარადგინა საკითხი, რომელიც აკადემიური საბჭოს სამდივნოში 2022 წლის 14 თებერვალს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თ. ზარანდიას მიერ იქნა გამოგზავნილი (№2747/31-05; 14.02.2022, *დანართი 1*). გიორგი შარვაშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული წერილი დაკავშირებულია მის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევასთან, რის გამოც იგი თავს შეიკავებს კომენტარებისა და წინადადებისგან, მხოლოდ კითხვების შემთხვევაში გამოთქვამს მოსაზრებას და არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

თ. ზარანდიას მიერ იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიურ საბჭოში მისი წარმომადგენლების სახელით გამოგზავნილი წერილი გადაგზავნილი იყო აკადემიურ საბჭოსთან და საბჭოს წევრები ფლობდნენ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლები ამ კორესპონდენციით ითხოვდნენ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 თებერვლის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან რექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის №257/01-01 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების განხილვა-დამტკიცების შეჩერებას და აგრეთვე, ინტერსაუნივერსიტეტო კომისიის შექმნას, რომელიც ბ-ნი გ. შარვაშიძის სადისერტაციო ნაშრომის *„სტრუქტურული რეფორმები უმაღლეს განათლებაში და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდენციები“* მიუკერძოებელ სამეცნიერო ექსპერტიზას ჩაატარებს, რათა საბოლოოდ გამოირკვეს აღნიშნულ სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომში სავარაუდო აკადემიური გადაცდომის საკითხი.

იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელმა **მ. შალიკაშვილმა** აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წერილში დასმული აკადემიური კონკურსის შედეგების დამტკიცების პროცესის შეჩერების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. მისი აზრით, უნდა შეიქმნას არასაუნივერსიტეტო რესურსით გარე კომისია, რომელიც აღნიშნულ აკადემიური გადაცდომის საკითხს შეისწავლის ისე, რომ კითხვები აღარ დარჩეს. მან აღნიშნა, რომ ეს კარგია როგორც თვითონ კონკურსანტისთვის ასევე უნივერსიტეტისთვის, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი ამ საკითხს.

ქ. ხუციშვილმა ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ 2019 წელს შექმნილმა საუნივერსიტეტო კომისიამ 2019 წლის 5 დეკემბერს დადო დასკვნა, რომელსაც გაეცნო აკადემიური საბჭო და მიიღო ცნობად. ამითი ამოიწურა სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომში სავარაუდო აკადემიური გადაცდომის საკითხი. ახლა კი ამ წერილით იურიდიული ფაკულტეტი საჭიროდ თვლის გარე კომისიის შექმნის აუცილებლობას, ამითი უნდობლობას უცხადებს იგი კომისიას და მთელ აკადემიურ საბჭოს. ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს შექმნილი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა იურიდიული ფაკულტეტის მაშინდელი წარმომადგენელი აკადემიურ საბჭოში ი. ქურდაძე, რომელიც ფაკულტეტის წევრი იყო.

ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს სამდივნოდან წერილის ოფიციალურად მიღებამდე, მას დაუკავშირდნენ კოლეგები, რომლებიც გაოცებულნი იყვნენ ქ-ი მზექალასადმი მიმართვის წერილი თუ რატომ აღმოჩნდა მათთან. მას მიაჩნია, რომ ეს არის გამიზნული კამპანიის ნაწილი, რაც შეურაცხმყოფელია მისთვის. ქ. ხუციშვილს მიაჩნია, რომ მსგავსი ნაბიჯი ემსახურება არა რაიმეს დადგენას, არამედ უნივერსიტეტის დისკრედიტაციას და მოუწოდა კოლეგებს, რომ მოეშვან უსაგნო განხილვას გადაჭრილ საკითხზე და მისდიონ დღის წესრიგს.

აკადემიური საბჭოს წევრი იურიდიული ფაკულტეტიდან **- მ. კოპალეიშვილი** ეთანხმება მ. შალიკაშვილის იდეას, ახალი კომისიის შექმნის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ნამდვილად იმუშავა საუნივერსიტეტო კომისიამ, მაგრამ როგორც ჩანს, მან არ დატოვა სათანადო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის შთაბეჭდილება. მისი აზრით, ისეთი კომისია, რომელიც არ იქნება აფილირებული თსუ-თან, დატოვებს დამოუკიდებელი კომისიის შთაბეჭდილებას და იქნება მიუკერძოებელი საკითხის განხილვისას. მან აღნიშნა, რომ ნამდვილად იყო იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი საუნივერსიტეტო კომისიის წევრი, მაგრამ ეს, მისი აზრით, იყო ისევ და ისევ მხოლოდ საუნივერსიტეტო კომისია, რადგან საკითხი ეხება უნივერსიტეტის რექტორს, ობიექტური დამკვირვებლისთვის ეს შეიძლება იწვევდეს ეჭვებს. მას მიაჩნია,

რომ გადამწყვეტია გარე, არასაუნივერსიტეტო კომისიის მიუკერძოებლობის საკითხი, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს.

ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს შექმნილმა საუნივერსიტეტო კომისიამ საფუძვლიანად იმუშავა. იგი დაინტერესდა, რა ეჭვები არსებობს კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით? რატომ ჭირდებოდა ამ ყველაფერს 3 წელი, რომ ახლა დასმულიყო ეს საკითხი ხელახლა და ეჭვქვეშ დაყენებულიყო კოლეგების მუშაობა?

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **ა. სილაგაძემ** აღნიშნა, რომ წერილში გამიჯნულია ორი საკითხი - აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა და არასაუნივერსიტეტო კომისიის შექმნა აკადემიური გადაცდომის დასადგენად. მას მიაჩნია, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის საკითხზე კომისიის დასკვნა მისთვის მისაღებია, ხოლო კომისიის შექმნასთან მიმართებით, შესაძლებელია მსჯელობა, განხილვა, არგუმენტების მოსმენა. ამ საკითხს შესაძლოა დაუბრუნდეს საბჭო მოგვიანებით.

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **ი. გრძელიძემ** აღნიშნა, რომ იგი იყო წევრი 2019 წელს შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის. კომისიამ დეტალურად შეისწავლა დოკუმენტი, იმსჯელა და დადო დასკვნა, რომელიც წარედგინა აკადემიურ საბჭოს. მას მიაჩნია, რომ კომისიის დასკვნის წარდგენა იყო დასასრული იმ პროცესისა. კომისიის მუშაობა იყო გამართული პროცედურა, რომელშიც ყველა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა მუშაობას.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **მზია წერეთელმა,** გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლეგების მუშაობა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის საკითხი არ შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ. მას არ მიაჩნია სწორად, რომ ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე პრეტენდენტის არჩევის საკითხი გავიდეს ფართო სამსჯელოზე, ესაა ფაკულტეტის გადასაწყვეტი და იგი არ დაუჭერს მხარს ახალი კომისიის შექმნის იდეას.

თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა **ა. კუკულავამ** გამოთქვა მოსაზრება იურიდიული ფაკულტეტის წერილთან დაკავშირებით. მისი თქმით, არაა მიზანშეწონილი ახალი კომისიის შექმნა. არც ერთი შიდა საუნივერსიტეტო და გარე სამართლებრივი პროცედურა არ ითვალისწინებს მსგავსი კომისიის შექმნას. ნებისმიერი წესის საფუძველი არის ნორმატიული აქტი, აღნიშნა ა. კუკულავამ და დასვა შეკითხვა, თუ რომელი ნორმატიული აქტი შეიძლება დაედოს საფუძვლად მსგავსი კომისიის შექმნას.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ყურადღება გაამახვილა ასევე შემდეგ გარემოებაზე, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი კომისია ზოგისთვის ნაკლებად მიუკერძოებლად და საეჭვოდ შეიძლება გამოიყურებოდეს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ერთი კალენდარული წლის განმავლობაში იქმნება ათობით, შეიძლება ასზე მეტი კომისია საუნივერსიტეტო რესურსით, რომლებიც მსჯელობენ როგორც ძალიან მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან თემებზე და იღებენ გადაწყვეტილებას. მაშინ ყველა უნივერსიტეტის შიგნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ უნდა დადგეს და განხილვის თემად იქცეს, რაც მიუღებელია. ასევე დაისვა შეკითხვა, სხვა რომელი უნივერსიტეტის წარმომადგენელი იქნებოდა უფრო ობიექტური და მიუკერძოებელი.

აკადემიური საბჭოს წევრმა **გ. ღვედაშვილმა** აღნიშნა, რომ არ შეიძლება შიდა საუნივერსიტეტო კომისიის მუშაობის ეჭვქვეშ დაყენება. ნებისმიერი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი, ამის ბევრი მაგალითი არსებობს, შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო გადაწყვეტილებას, თუ კომისიის საქმიანობაში ეჭვი შეგვაქვს, გარედან კი არ უნდა მოვიწვიოთ, იგივე კომისიასთან უნდა მოხდეს საკითხის განხილვა.

მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **პ. იმნაძემ** ასევე გაუგებარი უწოდა განხილულ საკითხთან დაბრუნებას. მისი აზრით, ასეთი ქმედებით აკადემიური საბჭოს წევრები უნდობლობას უცხადებენ კოლეგებს, რომლებმაც

იშრომეს, შეისწავლეს, დადეს დასკვნა და საბჭოსაც გააცნეს იგი. მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ახალი კომისიის შექმნა.

აკადემიური საბჭოს წევრმა **მ. ჩიტაშვილმა** აღნიშნა, რომ არსებობს საუნივერსიტეტო კომისიის დასკვნა, რომელიც აკადემიურმა საბჭომ მოისმინა და მიიღო ცნობად. გარე კომისიის შექმნა მისი აზრით, გულისხმობს იმას, რომ თსუ არის არაკომპეტენტური თავად შეაფასოს საკუთარი რესურსით უმარტივესი საკითხი. გარე კომისიის შექმნის საფუძველს იგი ვერ ხედავს. მან ხაზი გაუსვა ასევე წერილში მითითებულ წყაროს და აღნიშნა, რომ რადიო თავისუფლების მიერ გაკეთებულ სიუჟეტში მოხდა მისი ინტერვიუს ფალსიფიკაციის მცდელობა და ასეთი წყაროები მისთვის არადამაჯერებელია. მ. ჩიტაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ თსუ თვითონ არის პასუხისმგებელი მის მიერ დაქირავებულ პერსონალზე და უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, აკადემიური საბჭო ირჩევს აკადემიურ პერსონალს. მან ისაუბრა ასევე მიუკერძოებლობაზე და აღნიშნა, რომ ნებისმიერ უნივერსიტეტში იერარქია გულისხმობს იმას, რომ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ვიღაცამ ვიღაცაზე მოახდინოს გავლენა. თუ არსებობს მსგავსი ფაქტი და მტკიცებულება, რომ გავლენა მოახდინა ვინმემ კომისიაზე, სთხოვა წარმოედგინა კოლეგებს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგრძელდეს ამ საკითხზე მსჯელობა. იგი დაეთანხმა მ. წერეთლის მოსაზრებას, რომ ყველა ფაკულტეტი თვითონ ირჩევს თავის აკადემიურ პერსონალს და მსგავსი ქმედება კოლეგების მიმართ უნდობლობის გამოცხადებას გულისხმობს.

აკადემიური საბჭოს წევრმა **ა. ცისკარიძემ** ასევე აღნიშნა, რომ ძალიან კომპეტენტური და კეთილსინდისიერი ადამიანებისგან შემდგარმა კომისიამ უკვე იმუშავა, დადო დასკვნა და გაეცნო მას აკადემიური საბჭო. ეჭვის შეტანა კომისიის მუშაობაში მიუღებელია, დამატებითი კომისიის შექმნას ეწინააღმდეგება იგი და ზედმეტად მიაჩნია განხილულ საკითხზე მსჯელობა.

აკადემიური საბჭოს წევრის **რ. სანაძის** აზრით საკითხი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ეხება განათლების დეპარტამენტში ჩატარებულ აკადემიურ კონკურსს, სადაც იგი საკონკურსო კომისიის წევრი იყო და მიაჩნია, რომ ეს საკითხი არანაირად არაა

კავშირში მეორე საკითხთან. ასევე აღინიშნა, რომ იგი 2019 წელს შექმნილი კომისიის წევრი იყო და გაუგებარია მისთვის, რატომ გახდა საჭირო უკვე განხილული საკითხის ახლა გამოტანა. მისი პოზიციაა ეს საკითხები გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე განიხილოს საბჭომ.

აკადემიური საბჭოს წევრმა **ა. კუხიანიძემ** ასევე დაადასტურა კოლეგების მოსაზრება, რომ 2019 წლის დეკემბერში მოხდა ამ საკითხის განხილვა და აკადემიურ საბჭოზე მისი გამოტანა. მაშინაც არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც ეჭვი გამოთქვეს კომისიის მუშაობის კეთილსინდისიერებაზე და პასუხი გაეცათ დასმულ კითხვებზე. მან აღნიშნა, რომ დიდი პატივისცემის მიუხედავად ვერ დაეთანხმება კოლეგა ა. სილაგაძის წინადადებას კომისიის შექმნის საკითხთან კიდევ მიბრუნების და განხილვის შესახებ.

მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **გ. ლობჟანიძემ** მიუღებლად მიიჩნია უნდობლობა საუნივერსიტეტო კომისიის დასკვნისადმი და აღნიშნა, რომ ეს არის ასევე უნდობლობა აკადემიური საბჭოს მიმართ, რომელმაც მოისმინა და ცნობად მიიღო აღნიშნული ინფორმაცია. მისი აზრით საკითხი დასრულებულია და თსუ-თვის ამ საკითხთან უკან მიბრუნება მიზანშეუწონელია.

მ. შალიკაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ თუ რატომ წამოიწია ეს საკითხი მაინცდამაინც დღეს. მისი განმარტებით, როგორც მისთვის ცნობილია, აქამდე კანდიდატს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია. ის ვერ ხედავს თუნდაც აკადემიური საბჭოს ფარგლებში ამ საკითხზე მსჯელობის შეცდომას და აღნიშნა, რომ არაფერ შუაშია საკითხის შემსწავლელი კომისიის ნდობის ან უნდობლობის საკითხი. ეს საკითხი არსებობდა მანამდეც და როდესაც კანდიდატის აკადემიურ თანამდებობაზე გამწესების საკითხს ეხება, მისი აზრით ამ საკითხზე მსჯელობას წინ არაფერი არ უდგას.

მ. კოპალეიშვილმა პატივისცემა გამოხატა კოლეგების და ფაკულტეტის მიმართ და აღნიშნა, რომ ეს საკითხი არ იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ არა აკადემიურ

თანამდებობაზე რექტორის არჩევის საკითხი. მას მიაჩნია, რომ როდესაც მაღალი თანამდებობის პირი იკავებს აკადემიურ თანამდებობას, რთულია გამოირიცხოს, რომ პროცესი ობიექტურად და მიუკერძოებლად მიმდინარეობდა. სწორედ ამიტომ არსებობს კანონში პრევენციული ბერკეტები, რომ მსგავსი რამ გამოირიცხოს. მ. კოპალეიშვილის აზრით, როდესაც აკადემიურ თანამდებობაზე განაცხადს აკეთებს რექტორი და მას არ გააჩნია კონკურენტი, ეჭვს იწვევს. სწორედ ეს რომ გამოირიცხოს, გარე თვალისთვის და საზოგადოებისთვის პროცესი გამჭვირვალედ რომ წარიმართოს, ამიტომ გაკეთდა ეს მოთხოვნა. მას მიაჩნია, რომ თვითშეზღუდვა უნდა მოახდინოს მაღალი თანამდებობის პირმა კონკურსში. მისი აზრით, რომ არა რექტორის მონაწილეობა აკადემიურ კონკურსში, არ გააქტიურდებოდა არცერთი ეს საკითხი. მან აქვე დასვა კითხვა, რატომ არ მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა მონაწილეობა პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე და რატომ შეიტანა განაცხადი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, მას ურჩევნია რექტორი იყოს პროფესორი. მ. კოპალეიშვილის აზრით, როდესაც პროცესი იქნება გამჭვირვალე, აღარ დაისმება კითხვები. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აკადემიური საბჭოს წევრები ამა თუ იმ სახით ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში და ესეც კითხვებს აჩენს. მას მიაჩნია, რომ მაღალი თანამდებობის პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავება ყოველთვის არის განხილვის და მსჯელობის საგანი.

ა. სილაგაძემ დააზუსტა მისი წინადადება და გამოთქვა მოსაზრება, რომ იქნებ მოხდეს განმცხადებლების და რექტორის შეხვედრა და მათ შორის პოზიციების შეჯერება, რათა არ გაგრძელდეს ეს დავა.

მ. ჩიტაშვილმა უპასუხა წინა გამომსვლელების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მან აღნიშნა, რომ იგი არანაირად არ იყო ჩართული გ. შარვაშიძის დისერტაციასთან დაკავშირებულ საკითხებში. მან თავის გამოსვლაში ისაუბრა რადიო თავისუფლების მიერ მისგან აღებული ინტერვიუს შესახებ, სადაც მას კითხვები დაუსვეს პროექტზე, ისე რომ არ იცოდა რის შესახებ კეთდებოდა სიუჟეტი. მან მიზანშეწონილად მიიჩნია აკადემიური თანამდებობის შესარჩევი კომისიის დასკვნის გამოტანა და მისი

კენჭისყრაზე დაყენება. ამავდროულად აღნიშნა, რომ იგი მიესალმება ასეთ საჯარო დისკუსიას, იურიდიული ფაკულტეტის წერილის საჯარო განხილვას და კატეგორიულად ემიჯნება კულუარულ მოლაპარაკებებს. მისი აზრით, საკითხის გადადება მიუღებელია.

რ. სანაძემ ისაუბრა ორივე კომისიის მუშაობის ტრანსპარენტულობის, ღიაობის და მიუკერძოებლობის შესახებ. აღინიშნა, რომ 2019 წელს შექმნილი კომისიის და აკადემიური თანამდებობის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მუშაობა და მთელი პროცესი მიმდინარეობდა გამჭვირვალედ, ყველა პროცედურის დაცვით. აკადემიური კონკურსი გამოცხადებული იქნა საჯაროდ და ყველა რეგულაციის დაცვით ჩატარდა. მსჯელობა იმის შესახებ, რომ რაიმე ზეწოლის შედეგად იყო გაკეთებული კომისიების მუშაობისას, მისთვის შეურაცხმყოფელია.

ქ. ხუციშვილმა მოუწოდა კოლეგებს, რომ აღარაა საჭირო დისკუსიის გაგრძელება და საჭიროა დღის წესრიგის საკითხების განხილვა. იგი გამოეხმაურა მიკერძოებასთან დაკავშირებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ ლოგიკით ყველა დაკავშირებულია ამ საკითხის განხილვასთან. მან მიმართა იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელს მ. კოპალეიშვილს, რომ ისიც გარკვეულწილად დაკავშირებულია აღნიშნულთან თუნდაც იმით, რომ ფაკულტეტიდან წამოსულ წერილს ეთანხმება, მხარს უჭერს, ამ კამპანიის ნაწილია. მაშინ არავინ არ უნდა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა. საკითხი აკადემიური კეთილსინდისიერების თაობაზე გადაჭრილია საბოლოოდ და საკმაოდ ტრანსპარენტულად, რადგან დასკვნა წარმოდგენილი იყო აკადემიურ საბჭოზე განსახილველად. ქ. ხუციშვილმა ამ საკითხთან დაბრუნება მიუღებლად მიიჩნია. მან მიმართა აკადემიურ საბჭოს დააყენონ კენჭისყრაზე საკონკურსო კომისიის შედეგები დასამტკიცებლად.

ი. ხარშილაძემ აღნიშნა, რომ საკითხი არის არა მარტო იურიდიული ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანი, არამედ საზოგადოების მომატებული ინტერესის საგანია, ამიტომ ღირს დასაფიქრებლად, თუ რა თანმდევი მოვლენები შეიძლება

განვითარდეს. მისი სურვილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ისევ პირველ უნივერსიტეტად დარჩეს.

მზია წერეთელმა მოუწოდა კოლეგებს დღის წესრიგის განხილვა და დასვა რიტორიკული შეკითხვა: აქვს თუ არა უნივერსიტეტის რექტორს აკადემიური თანამდებობის დაკავების უფლება? მით უფრო, რომ იგი დიდი ხანია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. თუ უნდა იყოს იგი სხვა უნივერსიტეტის პროფესორი?

აკადემიური საბჭოს წევრმა **რ. შანიძემ** აღნიშნა, რომ საკითხი ამოიწურა 3 წლის წინ და მისი დასტურია 2 წლის წინ, 2020 წელს ჩატარებული რექტორის არჩევნები, სადაც ბატონი გიორგი შარვაშიძე მეორე ვადით იქნა არჩეული რექტორად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **ე. ხარაიშვილმა** სრული ნდობა გამოუცხადა კომისიის წევრებს და აკადემიური საბჭოს იმ შემადგენლობას, რომელმაც დასკვნა მოისმინა და ცნობად მიიღო და წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შესახებ.

აკადემიური საბჭოს წევრმა **ნ. მინდაძემ** ნდობა გამოუცხადა კომისიას და აკადემიურ საბჭოს და აღნიშნა, როდესაც ხდება რამე გადაწყვეტილების მიღება, პროფესორის ან პედაგოგის არჩევაზე, ეს რისთვის კეთდება, გარეგანმა თვალმა მოიწონოს ის თუ რეალურად კარგი ლექტორი იყოს, ან ვისაც შეუძლია ეს საქმე კარგად აკეთოს. ამის გადაწყვეტა თავად უნივერსიტეტზე უკეთ ვის შეუძლია. გარე თვალისთვის კეთდება ეს თუ რეალური საქმისთვის?

ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენელმა აკადემიურ საბჭოში **მ. ხუსკივაძემ** აღნიშნა, რომ 2019 წლის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში იყო, რომელმაც მოუსმინა კომისიის დასკვნას და ცნობად მიიღო. გაუგებარია მისთვის საკითხის წამოწევა და გააქტიურება. მან აღნიშნა, რომ იმ პერიოდშიც იყო საკითხის გამწვავების მცდელობა, მაგრამ არადამაჯერებელი არგუმენტების გამო აღარ გაგრძელდა დისკუსია.

ზ. აბაშიძემ გამოთქვა მოსაზრება დღის წესრიგის საკითხების განხილვის და შედეგების დამტკიცების.

მ. კოპალეიშვილმა წამოაყენა წინადადება, რადგან საკითხი ეხება რექტორს და იგი ესწრება სხდომას, მოუსმინოს აკადემიურმა საბჭომ მას და მიიღოს პასუხები აკადემიური თანამდებობის დაკავების საკითხის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ კონკურსი გამოცხადდა რექტორის ბრძანებით, რექტორის მიერ შექმნილი კომისიით და არ ყავდა მას კონკურენტები, რაც მისი აზრით, იწვევს არასაჯაროობის და გაუმჭვირვალობის შთაბეჭდილებას. ამავდროულად მან მოუწოდა აკადემიური საბჭოს წევრებს, რომ სერიოზულად მიუდგნენ იურიდიული ფაკულტეტის წერილს.

გ. შარვაშიძემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მე-6 წელია მუშაობს, როგორც მიწვეული ლექტორი. რაც შეეხება კონკურენტის არარსებობას და ტრანსპარენტულობის დარღვევას, ამ საკითხზე უნდა ისაუბროს კომისიამ. მან დასძინა, რომ ხშირია კონკურსები, სადაც ერთ ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი განაცხადია შესული, ამჯერადაც ასე მოხდა. მან დასვა შეკითხვა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისას მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო, ნუთუ ეს არჩევნებიც ეჭქვეშ უნდა დადგეს ტრანსპარენტულობის კუთხით?

გ. შარვაშიძე შეეხო 2019 წელს მის აკადემიურ ნაშრომთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე და არა იმიტომ რომ სავალდებულო იყო ეს, შეიქმნა კომისია, რომელშიც სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები შედიოდნენ. მათ იმუშავეს და დადეს დასკვნა, რომელსაც გაეცნო აკადემიური საბჭო და მიიღო ცნობად.

რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ეჭვები ამ საკითხთან დაკავშირებით არ წამოჭრილა რექტორის მეორე ვადით არჩევისას 2020 წლის აგვისტოში. ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა ჩვეული პროცედურის დაცვით, ვებგვერდზე

იყო ინფორმაცია განთავსებული, მან შეიტანა საბუთები, გაიარა გასაუბრება და შერჩეულ იქნა. საჯაროობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით უკეთ შეძლებს პასუხის გაცემას საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თუ მას სიტყვა მიეცემა.

გ. შარვაშიძემ ისაუბრა იურიდიული ფაკულტეტიდან შემოსული წერილის შესახებ, რომ კორესპონდენცია სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე შემოვიდა აკადემიური საბჭოს სამდივნოში. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მიხედვით სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აკადემიურ საბჭოსთან იგზავნება 3 დღით ადრე და არ არსებობდა ვალდებულება წერილის განხილვის. თუმცა საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით მოხდა იურიდიული ფაკულტეტის წერილის გადაგზავნა აკადემიურ საბჭოსთან და მასზე მსჯელობა.

აკადემიური საბჭოს წევრების მოთხოვნით სხდომა დაუბრუნდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

საკითხი 1: *ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლების დეპარტამენტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება;*

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ზ. ქიტიაშვილმა წარუდგინა აკადემიურ საბჭოს საკითხი. აღინიშნა, რომ ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების თითო ვაკანსიაზე შემოტანილი იყო თითო განაცხადი. თუ რატომ იყო თითო პრეტენდენტი თითოეულ ვაკანსიაზე კომისიის თავმჯდომარემ რიტორიკულ კითხვად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით როგორც კომისიას, ასევე კონკურსანტებს ვერ ექნებათ არგუმენტები. კომისიამ იხელმძღვანელა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესით, კონკურსმა ჩაიარა პროცედურების დაცვით. პირველ ეტაპზე მოხდა საბუთების განხილვა, ხოლო მეორე ეტაპი დაეთმო გასაუბრებას. კომისიამ ყველა წესის დაცვით ჩაატარა კენჭისყრა და ერთხმად ცნო გამარჯვებულად ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე დ. წამალაშვილი, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გ. შარვაშიძე.

აკადემიური საბჭოს წევრმა მ. შალიკაშვილმა დასვა კითხვა, იმსჯელა თუ არა კომისიამ ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ზ. ქიტიაშვილმა უპასუხა, რომ ეს საკითხი იყო მსჯელობის საგანი კომისიის წევრებს შორის. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა რ. სანაძე, რომელიც 2019 წელს იმ საუნივერსიტეტო კომისიის წევრი იყო, რომელმაც გ. შარვაშიძის ნაშრომი შეისწავლა. კომისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ დასკვნა განხილული იყო აკადემიურ საბჭოზე. ეს იყო დადასტურება, რომ პროცესი ამ საკითხთან დაკავშირებით ამოწურული იყო და კომისიას ამასთან დაკავშირებით კითხვა აღარ დაუსვამს პრეტენდენტისთვის.

კენჭისყრის დროს აკადემიური საბჭოს წარმომადგენელმა თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიდან გ. ფერაძემ დააფიქსირა თავისი მოსაზრება. მან აღნიშნა, რომ როდესაც ამხელა ფაკულტეტი, როგორიცაა იურიდიული ფაკულტეტი და სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ფაქტობრივად ერთი ოჯახია, აყენებს საკითხს, უმჯობესია ამ საკითხის გარკვევას მეტი ყურადღებით მოეკიდოს აკადემიური საბჭო. გ. ფერაძე არაა იმის მომხრე, რომ საკითხის დამტკიცების შემდეგ სხვამ მიუთითოს აკადემიურ საბჭოს რა აკეთოს და როგორ. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხი არ გახდეს გარეთ დამატებითი განხილვის, განსჯის და მითითებების საფუძველი, სასურველია აკადემიური საბჭო მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს იურიდიული ფაკულტეტის პოზიციას.

აკადემიურმა საბჭომ კენჭი უყარა საკონკურსო კომისიის დასკვნას და ხმათა უმრავლესობით (**24 მომხრე** - აბაშიძე ზურაბ, ავაზაშვილი ნიკოლოზ, ანანიაშვილი ნათელა, გაგნიძე ნონა, ზაუტაშვილი მარინე, იმნაძე პაატა, კვინიკაძე მურმან, კუხიანიძე ალექსანდრე, ლობჟანიძე გია, მაღრაძე ვახტანგ, მინდაძე ნინო, სილაგაძე ავთანდილ, ღვედაშვილი გიორგი, ღონღაძე ალექსანდრე, შანიძე რევაზ, შენგელია თემურ, ჩიტაშვილი მარინე, ცისკარიძე ალექსანდრე, წერეთელი მარი, წერეთელი მზია, ხარაიშვილი ეთერ, ხაჩიძე მანანა, ხუსკივაძე მამუკა, ხუციშვილი ქეთევან. **4 წინააღმდეგი**

- მ. კოპალეიშვილი, მ. შალიკაშვილი, ი. ხარშილაძე და გ. ფერაძე. გ. შარვაშიძემ და რ. სანაძემ არ მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის გამო, ერთი მათგანი იყო პრეტენდენტი, ხოლო მეორე კომისიის წევრი) მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 2: *მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების დამტკიცება;*

გ. ლობჟანიძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობები დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 3: *მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები;*

ნ. ჩიხლაძემ წარუდგინა აკადემიურ საბჭოს მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში ***საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია*** განსახორციელებელი ცვლილება. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში შევიდა ცვლილება:** დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება აპლიკანტი, რომელსაც აქვს სოციოლოგიის/ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შესაბამისად, რედაქტირებული ჩანაწერი უნდა იკითხებოდეს:
დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის

ხარისხი, სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი; უცხო ენის ცოდნა 2 დონეზე და გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.

ცვლილების **საფუძველი** გახდა ბაზრის კვლევა და ჩატარებული ანალიზი, ასევე საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციები.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 4: *ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები;*

მ. მელიქიშვილმა წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში *ფსიქოლოგია* განხორციელდა დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების დამატების შესახებ: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **კონფლიქტების მართვა** (მ. დესპოტაშვილი).

ცვლილების საფუძველი გახდა პროგრამის კურიკულუმის გამრავალფეროვნება.

სასწავლო კურსებში შეფასების სისტემის ცვლილების შესახებ

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში** (ხ. მარწყვიშვილი);
- ამოღებული იქნა ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **სოციალური ფსიქოლოგია 1** (ა.ქიტიაშვილი, ე.ფირცხალავა, ე. კვანჭილაშვილი, ნ.ფარსადანიშვილი);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **სოციალური ფსიქოლოგია 2** (ა.ქიტიაშვილი, ე.ფირცხალავა, ე. კვანჭილაშვილი, ნ.ფარსადანიშვილი);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **ეთნიკური იდენტობა, სამშობლო, ნაციონალიზმი** (ვ.გამსახურდია);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **კროს-კულტურული ფსიქოლოგია** (ე. კვანჭილაშვილი);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **კულტურა და ფსიქოლოგია** (ვ. გამსახურდია, ლ. სურმანიძე);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **მართვის ფსიქოლოგია** (ლ.ჩხიკვიშვილი);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში **კულტურული და პოლიტიკური ასპექტები** (ე. კვანჭილაშვილი);

- ამოღებული იქნას ლექციაზე დასწრების ქულა სასწავლო კურსში პოლიტიკური ფსიქოლოგია **(ე. კვანჭილაშვილი).**

ცვლილების საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია.

სასწავლო კურსის კვირეული დატვირთვაში ცვლილების შეტანის შესახებ

) დაემატოს 1 საათი სალექციო კვირეული დატვირთვაში სასწავლო კურსს **ფსიქოლოგიის საფუძვლები.**

ცვლილების საფუძველი გახდა დარგში ორიენტირების გაღრმავება დამწყებ სტუდენტთათვის.

სასწავლო კურსში შეფასების სქემის ცვლილების შესახებ:

- შეიცვალა შეფასების სქემა სასწავლო კურსისთვის **ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები** (ლ.არუთინოვი), კერძოდ, სასწავლო კურსის შუალედური შეფასება წარმოდგენილ იქნას 1 შუალედური გამოდის სახით, ნაცვლად 2 შუალედური შეფასებისა.

ცვლილების საფუძველი: სასწავლო კურსი „ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძველები“ პირობითად ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: თეორიულისგან, რომელსაც, ძირითადად, ლექციების საერთო რაოდენობის ძირითადად პირველი ნახევარი (1–8

ლექციები) ეთმობა, ხოლო მეორე ნახევარი უმეტესწილად პრაქტიკული ხასიათისაა - სხვადასხვა ტიპის ტესტების თუ კითხვარების კონსტრუირების და მათი შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკის დემონსტრირების და შესრულების სწავლების თვალსაზრისით. შესაბამისად, ლექცია–სემინარების მეორე ნაწილის მასალათა ათვისების ხარისხი, ძირითადად, პრაქტიკული დავალებების მეშვეობით მოწმდება. ამ ამოცანას, აგრეთვე, ფინალური გამოცდის პრაქტიკული დავალებების ნაწილი ისახავს მიზნად. მეორე შუალედურის ტესტი არსებითად ისევ ამ ამოცანებს ემსახურება და, შესაბამისად, სტუდენტებისათვის მხოლოდ ზედმეტი დატვირთვის ფუნქციის მატარებელია. ამრიგად, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შუალედურის მხოლოდ ერთხელ ჩატარება.

სასწავლო კურსის განხორციელებული ცვლილების შესახებ: დაზუსტდა სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები, სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა სასწავლო კურსისთვის **Personality, culture, and social boundaries** (ვ. გამსახურდია). საფუძველი გახდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები. არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტმოცულობის ცვლილება განხორციელდა: არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტმოცულობა შემცირდა 5 კრედიტით, შესაბამისად, არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა გახდა 15 კრედიტი ნაცვლად 20 კრედიტისა. ცვლილების საფუძველს წარმოადგენს დოქტორანტურის ახალი მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო საგნის (კვლევის მეთოლოგია) დამატება. რამდენდაც შეთავაზებული არჩევითი კურსებიდან ერთ-ერთი არჩევითი კურსი (კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში) მნიშვნელოვანწილად ფარავს აღნიშნულ სავალდებულო კურს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამიდან მისი ამოღება და, შესაბამისად, არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების შემცირება.

განათლების დეპარტამენტი:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა /300 -კრედიტი/:

ცვლილებების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების დამატების შესახებ: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია** (მარიკა არევაძე, შორენა ძამუკაშვილი, მაკა კოჭაური, თამთა დემეტრაძე).

საფუძველი: მომავალმა მასწავლებელმა სასურველია იცოდეს ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია.

- *ცვლილება*: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია** (ი.აფთარაშვილი, ქ. დევაძე, ნ.მოდებაძე, ი. ბალანჩივაძე).

საფუძველი: მომავალმა მასწავლებელმა სასურველია იცოდეს ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია.

დამატებით/minor/პროგრამაში საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების დამატების შესახებ

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **მოსწავლის ქცევის მართვის საკითხები** (მ. შაშვიაშვილი, 5 კრედიტი).

საფუძველი: წარმოდგენილი კურსების ცოდნა აუცილებელია მომავალი მასწავლებლებისათვის ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობის თვალსაზრისით.

პროგრამის სახელწოდება: მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა (დადგენილება 2011 №57, დანართი 270)

ცვლილებების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების დამატების შესახებ

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **მოსწავლის ქცევის მართვის საკითხები** (მ. შაშვიაშვილი, 3 კრედიტი).

საფუძველი: წარმოდგენილი კურსების ცოდნა აუცილებელია მომავალი მასწავლებლებისათვის ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობის თვალსაზრისით.

სამაგისტრო პროგრამაში - განათლების მეცნიერებები

ცვლილებების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების დამატების შესახებ

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი **უმაღლესი და პროფესიული განათლების საერთაშორისო ეკოსისტემა** (გ.შარვაშიძე) **საფუძველი:** კურიკულუმის გამრავალფეროვნება.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

საკითხი 5: *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები;*

ლ. საბაურმა წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები.

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. პროგრამას დაემატა შემდეგი არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსები:

- კლიმატის ცვლილებების ეკონომიკა 2: ავტორი, მაიკლ ლუკენი, 5 კრედიტი, დაშვების წინაპირობა: კლიმატის ცვლილებების ეკონომიკა 1 (არჩევითი კრედიტი);
- გლობალური გამოწვევები: ავტორი, ზურაბ აბრამიშვილი, 5 კრედიტი, დაშვების წინაპირობა: მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები (არჩევითი კრედიტი);
- გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა: (თავისუფალი კრედიტი); ავტორი, ნინო ზედელაშვილი, 5 კრედიტი, დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე (თავისუფალი კრედიტი);
- პოლიტიკური ფილოსოფია და თანამედროვება პოლიტიკა: ავტორი, ნიკოლოზ ესიტაშვილი, 5 კრედიტი, დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე (თავისუფალი კრედიტი).

საფუძველი: პროგრამის არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტთა არჩევანის გამრავალფეროვნება.

2. შეიცვალა არჩევითი სასწავლო კურსის „კლიმატის ცვლილებების ეკონომიკა“ სახელწოდება და გახდა „კლიმატის ცვლილებების ეკონომიკა 1“. მიმდინარე სახელწოდება არის „კლიმატის ცვლილებების ეკონომიკა“.

საფუძველი: სასწავლო კურსის დასახელებების შესაბამისობაში მოყვანა.

3. გასწორდა ტექნიკური შეცდომა სასწავლო კურსის „საერთაშორისო ვაჭრობა“ წინაპირობაში და განისაზღვრა შემდეგნაირად: „მაკროეკონომიკა 2“ და „მიკროეკონომიკა 2“. მიმდინარე წინაპირობად სტრუქტურით განსაზღვრული იყო მხოლოდ მიკროეკონომიკა 2.

საფუძველი: ტექნიკური შეცდომის გასწორება.

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“:

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. პროგრამას დაემატა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები:

- გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე დასავლურ პლურალისურ საზოგადოებებში: ავტორი, ლინდა მორი და კაი მასერი, 3 კრედიტი, დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე (არჩევითი კრედიტი);
- კლასიკური და თანამედროვე თემები პოლიტიკურ ფილოსოფიაში: ავტორი, ნიკოლოზ ესიტაშვილი, 3 კრედიტი (არჩევითი კრედიტი);

საფუძველი: პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტთა არჩევანის გამრავალფეროვნება.

გ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“ -ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა სასწავლო კურსის „კულტურული ტურიზმი“ სილაბუსის ავტორი, გ. მჭედლიშვილის ნაცვლად, მ. ალადაშვილი. ასევე, განახლდა მოცემული სასწავლო კურსის ლიტერატურა.

საფუძველი: სასწავლო კურსის განახლება უახლესი აქტუალური სასწავლო მასალით. ავტორის გარდაცვალება.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებებით.

საკითხი 6: *იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების გაცნობა;*

იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გ. მახარობლიშვილმა წარუდგინა აკადემიურ საბჭოს იურიდიული ფაკულტეტის თვითშეფასების ანგარიშები საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელიც დამტკიცდა იურიდიული ფაკულტეტის საბჭოზე 26.11.2021, N2.

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***სამართალი***;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***საერთაშორისო სამართალი***;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ***სამართალი***;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ***საერთაშორისო სამართალი***;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ***სამართალი***;

იგეგმება ანგარიშების წარდგენა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკადემიური საბჭო გაეცნო იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ანგარიშებს და მიიღო ცნობად.

საკითხი 7: *აკადემიური საბჭოს 2017 წლის 23 სექტემბერის №103/2017 დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილება.*

აკადემიური საბჭო გაეცნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 9 თებერვლის წერილს (№2431/10) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ თ. ჯოლოგუასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას, რაც საჭიროებს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 23 სექტემბრის №103/2017 დადგენილებაში ცვლილებას.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს და ერთხმად მოხდა მისი დამტკიცება დადგენილებით.

გიორგი შარვაშიძე
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
რექტორი

მზექალა აჭაიძე
აკადემიური საბჭოს სხდომის მდივანი
რექტორის აპარატის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი